

I. პროგრამის დასახელება: სამართალი - Law

II. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

III. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური, რეგულირებადი

IV. სწავლების ენა: ქართული

V. მისანიჭებელი აკად. ხარისხი/კვალიფიკაცია: სამართლის ბაკალავრი - Bachelor of Law; კოდი 0421

VI. პროგრამის მოცულობა: საგანმანათლებლო პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა 4 წელია, მოიცავს 172 კვირას, 6000 საათს და ითვალისწინებს ECST-ის 240 კრედიტის დაგროვებას.

VII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა;
- საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვა;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური რეგისტრაციის გავლა;
- სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და უნივერსიტეტში არსებული შიდა მობილობის წესის მიხედვით ჩარიცხვა;
- სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება;

VIII. პროგრამის ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი დავით ხობელია

IX. პროგრამის აკრედიტაციის თარიღი: 2012 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება №380;

(აკრედიტაციის ვადა 15.03.2021 წ.)

X. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს კურსდამთავრებული, რომელსაც აქვს დარგის ფართო და საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის ცოდნა, რომელსაც შეუძლია ეროვნული სამართლის სისტემის ფუნდამენტური პრინციპების შესწავლა, სრულფასოვანი იურიდიული განათლების მიღება და კვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბება, კურსდამთავრებულს მოქმედი კანონმდებლობის, საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე შეეძლება სამართლის ნორმების სწორი გაგება, მათი გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში. სტუდენტი უზრუნველყოს სამართლის არსისა და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების, სამართლის განმარტების მეთოდების, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისა და განვითარების თეორიების, ქართული სამართლის ისტორიული წყაროების, სამართლის ნორმის სტრუქტურისა და სახეების, სამართლისა და მორალის ნორმების თანაფარდობის, სახელმწიფოსა და სამართლის სხვა ზოგადი საკითხების, დანაშაულის არსის, სახეებისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლისწავლებით; სტუდენტი დაეუფლოს ისეთ სასწავლო კურსებს, რომლებიც მას ხელს შეუწყობს იურისტისათვის აუცილებელი ინფორმაციის მოპოვებაში, იურიდიული დოკუმენტის (ხელშეკრულება, საჩივარი, სარჩელი და ა.შ.) მოკლედ, გასაგებ ენაზე შედგენაში; სტუდენტს ასწავლოს ადმინისტრაციულ, სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოებისას პროცესუალური დოკუმენტების შედგენა და იურისტისათვის საჭირო ნორმატიულ აქტებში შეტანილი ცვლილებების და სამართლის მეცნიერების

სიახლეების მიდევნების, აგრეთვე პროფესიული ეთიკის ნორმები და პირის უფლებების განხორციელებისა და სამართლიანობის იდეებით მოქმედების უნარი.

სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა პროგრამის ფარგლებში შეიძინოს ცოდნა და მოახდინოს საგნების კონცენტრაცია ერთ-ერთი მიმართულებით: კერძო სამართალი, სისხლის სამართალი და საჯარო სამართალი; სტუდენტს შეუძლია ასევე დაეუფლოს სამართლის ისტორიულ, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, ფილოსოფიურ და ეკონომიკურ ასპექტებს, შეისწავლოს არაიურიდიული დისციპლინები.

კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ თანამდებობაზე, სადაც არ მოეთხოვება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. მას ასევე შეეძლება მუშაობა საჯარო (შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სასჯელაღსრულების, საგარეო საქმეთა სამინისტროებში და ა.შ.) საერთაშორისო ორგანიზაციებში და არასამთავრობო დაწესებულებებში.

XIII. სწავლის შედეგი:

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

	დარგობრივი კომპეტენციები
	<ol style="list-style-type: none"> 1. ეროვნული და მსოფლიო სამართლის სისტემების ძირითადი თავისებურებების, პრინციპების და ინსტიტუტების ფართო, ხოლო საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის სიღრმისეული ცოდნის საფუძველზე კრიტიკულად იაზრებს საკანონმდებლო ცვლილებების, მეცნიერული სიახლეების პროცესს. გეგმავს სიახლეების შესწავლისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სწავლის გაგრძელების პერსპექტივას და იყენებს შესაბამის საჭირო სასწავლო რესურსს. 2. არგუმენტირებულად ასაბუთებს სამოქალაქო სამართალწარმოებისა და საჯარო, საერთაშორისო სამართლის ნორმების სწორი გაგებისა და მათი პრაქტიკაში გამოყენებისას წარმოქმნილი სამართლებრივი პრობლემების გადასაჭრელად საკუთართეზის და შერჩეული მიდგომას. დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით გადაწყვეტის მიზნით ანალიზებს და მრავალმხრივად განიხილავს სამართლებრივი პრობლემებს, როგორც, თეორიულ, ისე პრაქტიკულ ჭრილში. იყენებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ფართო სპექტრს არჩევს და მიუსადაგებს სათანადო სამართლებრივ მეთოდებს და მასალებს. მიღებული ცოდნით განსაზღვრავს სამართალწარმოების ძირითად საფუძველებს, წარმოაჩენს სამოქალაქო პროცესის პრინციპების სპეციფიკას. ერკვევა დავის სასამართლო წესით, კერძო არბიტრაჟებსა თუ სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გადაწყვეტაში. გამოავლენს პრობლემებს, რომელიც არსებობს პრაქტიკაში შესაბამისი ნორმების რეალიზაციისას. 3. განმარტავს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი პრინციპებსა და კანონმდებლობით დადგენილი წესებს, სამართლის არსსა და სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს, სამართლის განმარტების მეთოდებს, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისა და განვითარების თეორიებს, კრიმინოლოგიის ძირითადი საკითხების, დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და მისი თავიდან აცილების პრობლემატიკის. კრიმინალისტიკის ძირითადი საკითხების,

დანაშაულის გახსნის ტაქტიკისა და მეთოდის შესახებ ცოდნის საფუძველზე იყენებს საგამომიებო ტექნიკას.

4. აღწერს სამართლის ნორმის სტრუქტურასა და სახეებს, სამართლისა და მორალის ნორმების თანაფარდობას, სახელმწიფოსა და სამართლის სხვა ზოგად საკითხებს, დანაშაულის არსს, სახეებს და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, მოპოვებს იურისტისათვის აუცილებელი ინფორმაციას, გარკვეული მითითების შესაბამისად მოკლედ, გასაგებ ენაზე ადგენს იურიდიული შინაარსის დოკუმენტებს (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელისა და.შ.). მოიძიებს, განმარტავს და იყენებს ნორმატიული საფუძველებს სისხლის სამართლის პროცესუალური დოკუმენტების ნიმუშების შედგენისას, ადგენს დადგენილებას, შუამდგომლობას, ოქმს, მიმართვას, ბრალდებასა და დაცვის შესავალ სიტყვებს, სააპელაციო და საკასაციო საჩივრების ნიმუშებს; აწარმოებს საგამომიებო მოქმედებების ჩატარებისათვის აუცილებელ პროცესუალურ დოკუმენტებს. ახდენს გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების, სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის დროს წარმოქმნილი სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირებას, მოიძიებს მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიულ საფუძველებს, განმარტავს და იყენებს მათ.
5. ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების, ეკონომიკური დანაშაულის და აგრეთვე საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის, სახელმწიფოს, სასამართლო ხელისუფლების, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ძირითადი საკითხების. თანამედროვე საერთაშორისო სისხლის სამართლის საკითხების, საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულის სახეების, სამართალწარმოების წესისა და პასუხისმგებლობის ფორმების, სახეების თავისებურებების გათვალისწინებით ზეპირი და წერილობითი ფორმით იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით წარადგენს ინფორმაციას პროფესიულ საზოგადოებასთან.
6. მტკიცებულების არსის, სისხლის სამართლის საპროცესო სამართლებრივი იძულების სახეებისა და მათი გამოყენები სპროცესუალური წესის, საგამომიებო მოქმედებების ჩატარების პროცესუალური საკითხების, გამოძიების დამთავრების, შეჩერების საფუძველები, პირველი ინსტანციის, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმისწარმოების პროცესუალური წესის. განაჩენის აღსრულების საკითხების და საქართველოს კანონმდებლობის აღსრულების სხვა მთელი რიგი თავისებურებების გამოძიებლის, პროკურორის, სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის დროს მოსამართლის უფლებამოსილების შესახებ ცოდნის საფუძველზე ახდენს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირებას, მოიძიებს, განმარტავს და იყენებს მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიულ საფუძველებს. ახდენს ჩადენილი ქმედების კვალიფიცირებას, მიჯნავს ერთმანეთისგან დანაშაულებს, მაკვალიფიცირებელი ნიშნების სწორი ანალიზით ადგენს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და

დამამძიმებელ გარემოებებს.

7. აფასებს საკუთრების, როგორც სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის ადგილს. კრიტიკულად იაზრებს საკუთრებასთან დაკავშირებული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის საკითხებს, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული განზოგადების კუთხით. შედარებითი კვლევის მეთოდით ადარებს შესწავლილი საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლებრივ სფეროში წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობებს. სახელშეკრულებო სამართლის, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების, მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართლის, გაკოტრების სამართლის, საკორპორაციო სამართლის, საფინანსო სამართლის, საგადასახადო სამართლის, ეკოლოგიური სამართლის, საეკლესიო სამართლის, სამოხელეო სამართლის, შრომის სამართლის, ინტელექტუალური საკუთრების სამართლის, დაზღვევის სამართლის, სანოტარო სამართლის სპეციალური ნორმების საფუძველზე განმარტავს კონკრეტული სახის სამართლებრივ ურთიერთობების რეგულირების საკითხებს.
8. გამოაქვს არგუმენტირებული სამართლებრივი დასკვნები და წარადგენს მათ აკადემიურ, პროფესიულ საზოგადოებაში, ასევე არასპეციალისტებთან აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით მათ შორის უცხო ენაზე სამოქალაქო სამართლის პროცესის ძირითადი ასპექტების, სამოქალაქო საქმის წარმოების თავისებურებების შესახებ. მარტივად სვამს და პიულობს გადაწყვეტის გზებს სამართლებრივი საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნულ კანონებში, ბრძანებულებებში, ინსტრუქციებში, საერთაშორისო სამართლის ნორმებში და სხვა ნორმატიულ აქტებში არსებული პრობლემური სამართლებრივი საკითხებს და გასაგები ენით გადმოსცემს მათ.
9. კონსტიტუციური სამართლის სისტემა, სტრუქტურა, წყაროები, საზოგადოების სოციალურ ეკონომიკური სტრუქტურა და ორგანიზაცია, სახელმწიფო მმართველობის ფორმები, საარჩევნო სამართალი, პარლამენტის ორგანიზაცია, ადგილობრივი თვითმმართველობა, პიროვნების სამართლებრივი მდგომარეობა. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განხორციელების წესები და პრინციპები. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. მყარი სამართლებრივი ცოდნა აქვს მიღებული ზოგად ადმინისტრაციულ სამართალში კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის წარმოშობის, განვითარების თავისებურებები და დღეს არსებული მდგომარეობა.
10. აღწერს საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართლის განვითარების ისტორიის ეტაპებს და სამართლებრივ ასპექტებს. ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ორგანოების სტრუქტურას, კომპეტენციას, ფუნქციებსა და წევრი სახელმწიფოების უფლება-მოვალეობათა განმსაზღვრელ ნორმებს. ერკვევა ევროკავშირის სამართლებრივი სისტემის ძირითად პრინციპებში, ასევე ადამიანის უფლებათა

სამართლის და კრიტიკულად იაზრებს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს ზოგადსამართლებრივ კოტექსტში აკავშირებს ევროკავშირის სამართლის ძირითადი არსთან მიზნებთან, ნორმებთან. მოძიებს და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობითი ფორმით გადაცემს ინფორმაციას სამართლის სფეროში ქართულ და უცხოურ ენებზე. მოძიებს უცხო ენაზე არსებულ საერთაშორისო ნორმებს.

11. განმარტავს საერთაშორისო საჯარო სამართლის საგანს, სისტემას, ამოცანებს, ძირითადი ცნებებს და კატეგორიებს, პასუხისმგებლობას საერთაშორისო სამართალში; ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო სასამართლოს, მოსამართლეებისა და პროცესის მონაწილეთა კანონით მოწესრიგებული საქმიანობის ფუნდამენტურ პრინციპებს. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმების სწორი გაგების საფუძველზე იყენებს მათ პრაქტიკულ საქმიანობაში.
12. ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების ფართო ცოდნის საფუძველზე კრიტიკულად იაზრებს ქართული სამართლის წარმოშობის არსსა და მის მნიშვნელობაში ქართული სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის. აფასებს კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახის სამართლებრივი სისტემების, სამართლის საფუძვლები, საერთაშორისო სამართლის ნორმებით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პრინციპების მნიშვნელობას. სამართლებრივი ხასიათის ინფორმაციის, სამართლებრივი პრობლემის კრიტიკული და მრავალმხრივი ანალიზის საფუძველზე შეუძლია პრობლემის გადაწყვეტისათვის საჭირო თეზისის ფორმირება, განვითარება და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.
13. სამართლის ზოგადი ფილოსოფიის ასპექტებზე, ევოლუციაზე, საზრისზე, სახელმწიფო და სამართლის ფილოსოფიაზე, რომის სახელმწიფოს საზოგადოებრივ-სამართლებრივი სფეროს საფუძვლების შესახებ უახლესი კვლევების საფუძველზე იფართოებს ინტერესის სფეროს სამართლის სფეროში და იყენებს სხვადასხვა წყაროს ცალკეული საკითხების შესწავლის მიზნით.
14. განსაზღვრავს სამართალსუბიექტების ქცევას და გამოაქვს არგუმენტირებული დასკვნები მათი საქმიანობის ეფექტიანობის ამალღების გზების შესახებ, მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში სამართლის სფეროში პრობლემის ცნობილი მეთოდების გამოყენებით გადაჭრი მას, ასაბუთებს მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების პრინციპების გამოყენების მიზანშეწონილობას სამართალდარღვევებისა და დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, მოიძიებს, სარგებლობს, აფასებსა და აანალიზებს შესაბამის ნორმატიულ აქტებს ინფორმაციის ცნობილი წყაროებით .
15. კრიტიკულად აანალიზებს და აფასებს იურიდიული ეთიკის ძირითად დებულებებს; იურიდიული ეთიკის პრინციპებს, იურიდიული ეთიკის მნიშვნელობას, სპეციალისტად ჩამოყალიბების პროცესში; ამკვიდრებს ეროვნული სამართლის სისტემისათვის საჭირო ღირებულებებს, ხელს უწყობს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და მოქმედებს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების,

სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით. ხელი უწყობს არამართო იურისტისათვის საჭირო ეთიკის ფარგლებში მოქმედებას, არამედ იცავს ზოგადად სამართლის სფეროში არსებულ ნორმებს და საზოგადოებაში არსებულ ქცევის წესებს.

სტუდენტის შეფასება

- სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა (განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3) და უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად.
- კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.
- სტუდენტთა შეფასება ხორციელდება შემდეგი წესით:
 - ა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი ან სხვ.) შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.
 - ბ. სასწავლო კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტია 51%.
 - გ. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება დადებითია, თუ ნაშრომის შეფასება ტოლია ან მეტია 51%.
- შეფასების სისტემით დასაშვებია
 - ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
 - ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
 - ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
 - ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
 - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
 - ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
 - ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:
 - ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
 - ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- სასწავლო კომპონენტში უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში (საბაკალავრო ნაშრომის განმეორებით მომზადება იმავე ან მომდევნო სემესტრში). დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
- სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სემესტრული შეფასების ფორმებია:
 - შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი);
 - დასკვნითი შეფასება.
- სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემაში შეფასების ფორმებს შორის ხვედრითი წილის განაწილება ხდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით. ასევე სილაბუსით განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.
- საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამების საფუძველზე.

- შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვერდრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60 %-ს. სასწავლო კურსის პედაგოგი უფლებამოსილია შეფასების კომპონენტშიც განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
- შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრების ჯამი უნდა შეადგენდეს 51 ქულას.
- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი/ზღვრები დამლეული აქვს. შესაძლებელია შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის მისაღწევად დასკვნით გამოცდამდე სტუდენტმა განმეორებით ჩააბაროს სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური კომპონენტები. დასკვნით გამოცდაზე სილაბუსით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში, თუ სტუდენტს შუალედური შეფასებითურთ ჯამურად უგროვდება მაქსიმალური შეფასების 41-50%, განმეორებით აბარებს დასკვნით გამოცდას. ხოლო, თუ სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე სილაბუსით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე ნაკლებ შეფასებას მიიღებს და სტუდენტს შუალედური შეფასებითურთ ჯამურად უგროვდება მაქსიმალური შეფასების 40% დანაკლები, საბოლოო შეფასებად უფორმდება F-0. ასეთ შემთხვევაში სტუდენტი კურსს გაივლის განმეორებით.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50% მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 შეფასება და სტუდენტი კურსს გაივლის განმეორებით.
- შუალედური და დასკვნითი გამოცდები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის (საგნის) თავისებურების გათვალისწინებით, ტარდება წერილობით, ზეპირად, ელექტრონულად ან შერეული სახით.
- სტუდენტთა აკადემიური დავალიანების დასაფარავად სასწავლო წლის განმავლობაში პროგრამით გათვალისწინებულ 60 კრედიტის ზევით დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს 15 კრედიტი.
- სტუდენტის მიერ დამატებითი სალექციო კურსების მოსმენა ხორციელდება ძირითად ჯგუფებთან ერთად.
- დამატებით სალექციო კურსებზე სტუდენტთა რეგისტრაცია ხორციელდება სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის დამთავრებიდან ორი კვირის განმავლობაში.
- თუ სტუდენტი ძირითად სასწავლო ვადაში ვერ ასწრებს აკადემიური დავალიანების დაფარვას, დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სემესტრი/ები (მაქსიმუმ ოთხი).
- სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევის შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.